ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების“-ს“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ“ შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” შესაბამისად (წესდება თან ერთვის).

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54 – ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგებელი უფლებამოსილია საკრებულოს თანხმობით კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრების შესახებ. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ამოქმედების შემდეგ, აუცილებელი გახდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ბექა შენგელია.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: *ირაკლი კუჭავა*

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების“-ს“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის 1 პუნქტის ,,დ.ბ” ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების“ (ს/კ 242008830) წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და წესდება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა – ბექა შენგელია

დამტკიცებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

გამგებლის 2015 წლის ---- ---------- N -------

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება (შემდგომში საბიბლიოთეკო გაერთიანება) არის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო (არაკომეციული) იურიდიული პირი.
2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება არის კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-საინფორმაციო დაწესებულება, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას.
3. საბიბლიოთეკო გაერთიანების საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და წინამდებარე წესდება.
4. საბიბლოთეკო გაერთიანებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებაში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
5. საბიბლიოთეკო გაერთიანება საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ.
6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დამფუძნებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.
7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში საქმიანობა მიმდინარეობს ქართულ ენაზე.
8. საბიბლიოთეკო გაერთიანების იურიდიული მისამართია ნ. დუმბაძის ქ. №10.
9. საბიბლიოთეკო გაერთიანების ელექტრონული ფოსტა: choxataurisbiblioteka@gmail.com

მუხლი 2. საბიბლიოთეკო გაერთიანების მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. საბიბლიოთეკო გაერთიანება უზრუნველყოფს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას ეროვნების, მრწამსის, სოციალური მდგომარეობისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად;

2.საბიბლიოთეკო გაერთიანება თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საბიბლიოთეკო გაერთიანების ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების სწორი ორგანიზაცია;

ბ)თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განსახლების, გეოგრაფიული მდებარეობის, კულტურულ-ეკონომიკური პროფილის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე საბიბლიოთეკო ქსელის დისლოკაციის საკითხების სწორად გადაწყვეტა;

გ) საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდების განახლება-შევსება ახალი ბეჭდური პროდუქციით, მათი სრულყოფილად ფორმირება ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით, დაცვა, პოპულარიზაცია და ეფექტურად გამოყენება;

დ) საკატალოგო, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის საქმიანობის, მეთოდური სამსახურის სრულყოფა;

ე) საბიბლიოთეკო გაერთიანების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება სემინარული, სპეციალისტების მოწვევის და სხვა ფორმების მეშვეობით;

ვ) საბიბლიოთეკო გაერთიანებაში შემავალი ბიბლიოთეკების კოორდინაცია;

ზ) მოქმედი კანონმდებლობიდან და დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება;

თ) საბიბლიოთეკო სფეროში არსებული სტანდარტების დაცვა;

ი) მკითხველთა შეხედულებების, ინტერესების, მოთხოვნების გათვალისწინება და დაკმაყოფილება დიფერენცირებული მომსახურების, სტაციონარული და არასტაციონარული მუშაობის ფორმების გამოყენებით;

კ) მკითხველთა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა;

ლ) მოზარდი თაობისა და ახალგაზრდობის სრულყოფილ მოქალაქეებად ჩამოყალიბების, პატრიოტული, კულტურული, სოციალური თვითშეგნების და ესთეტიკურად აღზრდის საქმეში ხელშეწყობა;

მ) მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდების სრული აღრიცხვა და მათი გამოთავისუფლება აქტუალობადაკარგული და ფიზიკურად გამოუყენებელი საბიბლიოთეკო დოკუმენტებისაგან მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად;

ნ) ბიბლიოთეკისათვის ზედმეტი (ჭარბი), გამოუყენებელი და ფიზიკურად დაზიანებული ლიტერატურის რეალიზაცია-ლიკვიდაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ო) ბიბლიოთეკაში ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა და მათი ოპტიმალურად გამოყენება;

პ) მომხმარებელთა (ადგილობრივი და უცხოელი) მოთხოვნებისა და ინტერესების ოპერატიულად და პროფესიულ დონეზე დაკმაყოფილება. პენსიონერთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურება სხვადასხვა ფორმებით;

ჟ) წიგნადი ფონდების სისტემატიზაცია-კატალოგიზაცია არსებული სტანდარტების დაცვით;

რ) კულტურული პროგრამების შემუშავება. კულტურისა და სხვა დარგის მოღვაწეებთან, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებთან შეხვედრების მოწყობა, წიგნების განხილვები, კომერციული, საქველმოქმედო და სხვა სახის შემეცნებითი და შემოქმედებითი ღონისძიებების მოწყობა;

ს) მოსახლეობაში გამოკითხვების ჩატარება, ანალიზი და მისი შედეგების გათვალისწინება მკითხველთა მომსახურების დაგეგმვის დროს;

ტ) თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, შემოქმედებით კავშირებთან, გამომცემლობებთან;

უ) ბიბლიოთეკების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიება;

ფ) საქართველოს ან უცხოეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება სახელშეკრულებო საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ქ) საბიბლიოთეკო სტატისტიკის წარმოება.

მუხლი 3. სტრუქტურა და მართვა.

1. საბიბლიოთეკო გაერთიანების სტრუქტურული ერთეულებია:

ა) საბიბლიოთეკო გაერთიანების ადმინისტრაცია;

ბ) მთავარი ბიბლიოთეკა და სოფლის ბიბლიოთეკები.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებას მართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

3. საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი:

ა) პასუხისმგებელია საბიბლიოთეკო გაერთიანების საქმიანობაზე;

ბ) გასცემს მინდობილობებს, დებს ხელშეკრულებებსა და გარიგებებს იმ საკითხების ირგვლივ, რომლებიც არ სცილდება საბიბლიოთეკო გაერთიანების საქმიანობას;

გ) წარმართავს საკადრო პოლიტიკას;

დ)თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საბიბლიოთეკო გაერთიანების თანამშრომლებს. „საქართველოს შრომის კოდექსით" დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს თანამშრომლებთან და საჭიროებისამებრ დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან;

ე) იღებს გადაწყვეტილებებს საბიბლიოთეკო გაერთიანების თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ვ) სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით შეიმუშავებს და ამტკიცებს საბიბლიოთეკო გაერთიანების შინაგანაწესს, სამუშაო გეგმებს, ადგენს ბიუჯეტს და

განკარგავს თანხებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად;

ზ) მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს საბიბლიოთეკო გაერთიანების საშტატო განრიგსა და ხელფასის ფონდს;

თ) საბიბლიოთეკო გაერთიანების წინაშე მდგარი სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად ქმნის დროებით სამუშაო ჯგუფებს, კომისიებს და პერიოდულად ატარებს სხდომებს;

ი) საბიბლიოთეკო სფეროში ქმნის საინფორმაციო ბანკს;

კ) კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს ბიბლიოთეკის ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს, ასევე პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობასა და რაციონალურად გამოყენებაზე;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს);

მ) ვალდებულია მისი არყოფნის პერიოდში აცნობოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ;

ნ) ახორციელებს „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ წესდებით გათვალისწინებულ ნებადართულ სხვა საქმიანობას.

მუხლი 4. საბიბლიოთეკო გაერთიანების ქონება

საბიბლიოთეკო გაერთიანებას თავისი მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად გააჩნია ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. საბიბლიოთეკო გაერთიანების ფინანსური სახსრები

1. საბიბლიოთეკო გაერთიანების ფინანსური სახსრებია:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი;

გ) გრანტისა და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოსა და უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ გადაცემული ქონება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

2. ზემოთ აღნიშნული ფინანსური სახსრები გამოიყენება მხოლოდ საბიბლიოთეკო გაერთიანების წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისთვის.

მუხლი 6. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებას მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა.

დ) საბიბლიოთეკო გაერთიანებასთან დაკავშირებით სხვა გადაწყვეტილებები, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 7. საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საბიბლიოთეკო გაერთიანება ვალდებულია აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი.

2. საბიბლიოთეკო გაერთიანების ბალანსს ამოწმებს გამგებლის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორი.

მუხლი 8. საბიბლიოთეკო გაერთიანების კონტროლი

1. საბიბლიოთეკო გაერთიანების საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტურობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას;

2. საბიბლიოთეკო გაერთიანების კონტროლს ახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

3. საბიბლიოთეკო გაერთიანება ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.

3. საბიბლიოთეკო გაერთიანება უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს ქმედება.

მუხლი 9. საბიბლიოთეკო გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. საბიბლიოთეკო გაერთიანების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამგებლის გადაწყვეტილებითა და საკრებულოს თანხმობით.

2. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადადის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

მუხლი 10. წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ.

დასკვნა

განკარგულების პროექტის თაობაზე

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების“-ს“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ” განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54 – ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის გამგებელი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ.

პროექტი ასევე შეესაბამება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი: *ბექა შენგელია*